

სის ყაზახები და ზოგიერთი შუაგულ რუსეთიდან გადმოსახლებული რუსები, და აი რას ამბობს ამათზე ახლა უფ. მასილევს, რომელმაც ეს კალონიტები ნახა 14 წლის იმათ დასახლების შემდეგ (1878 წელს):

„ქართი რუსის კოლონიები—ყაზახი რუსები და შუაგულ რუსეთიდან გადმოსახლებულები, თუმცა ეკონომიურის მხრით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვინც ადგილობრივი ჩერკეზები (შაუსულები), მაგრამ ამათ არათუ არავითარი კეთილი გავლენა არ იქონიეს მეურნეობისა და წარმოების მხრით, არამედ ამათგან დასახლებულები ადგილები, სადაც ადრე მშვენიერი ბაღები და ვენახები ყოფილა, ახლა სრულიად გვერანებულია. ბაღებს არ უვლიან, ყანები ამათ არა აქვთ; მხოლოდ თითო-ორი-ოთხი ნაჭერი მიწა შეუქმუშავებიათ, ისიც გულ-ავარდნილად და ღვთის ანაბრად გაუშვიათ.“

„არ ვიცი—როგორ შეიძლება ამათი გამართლება, როდესაც თვალწინ ჰქონდათ ჩინებული ბაღები და ყანები მთიულ ხალხისაგან დატოვებული. ახლაც ეს ჩვენი რუსის კოლონიტები იოლად გამოდიან იმ ხეხილთ, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუტოვებიათ აქ და რომელიც, თუ ასე უპატრონოდ დააგდეს, უჩველია, მალე გადაშენდება.“

ამნაირი ფაქტებით სავსეა უფ. მასილევს სტატია და ჩვენ ურჩევთ კარგათ წაიკითხონ ეს სტატია და დაფიქრდნენ იმაში მოყვანილ ფაქტებზე ყველა ის პირნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს, რომ ძველსავე მთიულეები რუსეთში იყვნენ გადასახლებულნი და რუსეთიდან კი ხალხი ძველსავე უნდა გადამოვასახლოთ...“

* * რუსულ ვახეთებში იწერებინან, რომ ჯერ რუსეთის ხაზინას ცნობაში არა აქვს მოყვანილი—თუ რამდენი დაუჯდა იმას ვაელილ მსმალეთთან ომი. მაგრამ წლებანდელი წლის 1 იანვარამდინ ომისათვის გადაუღვია ხაზინას 911 (ცხრაას თერთმეტი) მილიონი მანეთი, რომლიდანაც ორი წილი (600 მილიონი) მერობის (ღუნის) ბრძოლის ველზე დახარჯულა და დანარჩენი სამას მილიონ მანეთზე მეტი ძველსავე არმიის საჭიროებისათვის.

* * სიღნაღიდან გვწერენ, რომ, იქაურის უეზლის უფროსისა და დეპუტატების უფ. ლიანოზოვისა და ლისინოვის თაოსნობით, იქ იმართება საქალაქო ბანკი, რომლის თაგნ ფულისათვის სამის დღის განმავლობაში სამი ათასს მანეთზე მეტი მოუგროვებიათ. სულ ათასს თუმანდინ უნდა მოაგროვონ ბანკის გასამართავად; როგორც ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, იმედი აქვთ, რომ თაგნ ფულს ამ ერთის კვირის განმავლობაში მოაგროვებენ.

* * სიღნაღის უეზლიდანვე გვატყობინებენ, რომ სოფ. ძარდანანში, თ. ილია აბხაზისა, უფ. შანშიევისა და თ. მაჩნაძის მეცადინეობით, სასოფლო „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“ გაუხსნიათ. ამ ქაშად ორას თუმანდინ არის ბანკშია და კარგათავე მოქმედებს.

„დროების“ კორრესპონდენცია

მუთაისი, 29 ივნისს. ღღეს პირველი წარმოდგენა გამართა თბილისის ქართულმა ტრუპამ, რომელიც გუშინწინ გვეწვია ბოროდამ. წარმოდგინეს „პეპო“ და „სხვა რიგი სიყვარული.“ მაყურებლების რიცხვი კაი ძალი იყო, თუმცა კი მოველოდი, რომ აქაური საზოგადოება უმეტესის რიცხვით მიეგებებოდა ახალს ქართულ ტრუპას. მაგრამ ერთის მხრით გასამართლებელი პირი აქვს მუთაისის საზოგადოებას, ბევრჯელ მნახველს მუთაისის სცენის მოყვარეების მოუმზადებლათ სცენაზე გამოსვლისა და უთაგ-ბოლოთ მიდებ-მოდებისა, სიტყვების რახარუსისა.. რასაკვირვლია, ყველაზე არ ითქმის ეგ მუთაისის სცენის მოყვარებზე, არაან იმათშორის პირნი, რომელნიც კარგათ ასრულებენ თავის საქმეს მაგრამ მათი რიცხვი ცოტაა. თბილისის ქართული ტრუპა ორსამ წარმოდგენას კიდევ გეპირებს, როგორც ამბობენ, და იმედია საზოგადოება ყურადღებას არ მოაკლებს.

ღღევანდელი წარმოდგენა მშვენიერათ წაიდა; მოთამაშებმა ნიჭიერათ აასრულეს თავის როლები. მანსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს „პეპოში“ ნ. შამუნისამ (შუშანიკას როლში) უ. შიფიანმა (ბიქოს როლში), უ. ცაგარელმა (ძაკულის როლში), მ. საფაროვისამ (მეფიას როლში) და მ. აბაშიძემ (ზიმზიმოვის როლში). ურავათ არ წარმოდგენილან ძეკეს (ძორინთელი) და პეპოს (უ. მაჩაბელი) როლებიც. პეპო კარგი იყო; შესაფერი ჰქონდა სახეც, ტანადობაც და მიხრა-მოხრაც; მხოლოდ ერთნაირი ხასიათი, პეპოს მდგომარეობის შესაფერი, არ სჩანდა ყოველგან კარგათ, ბოლომდის ვერ ატანდა. იყო წამები, როცა თითქმის სრულიათ დამშვიდებულსა ჰკავდა პეპო თავის სამწუხარო მდგომარეობაში, და მერმეთ მოულოდნელათ იცვლიდა სულის მდგომარეობას და ეძღვოდა მღელვარებას; ჰცხარდებოდა, ჰაწუხდა, მაგრამ შესაფერი ენერგიას აკლებდა ამ მდგომარეობაში, თითქო უხალისოთ ჰთამაშობსო;

საზოგადოთ აჯობებს, პოპოს მონოლოგები რომ უფრო გულით იქმნენ წარმოთქმულნი, მონოლოგებით, რომ თითოული სიტყვა ენერგიულათ წარმოითქვას. აგრეთვე აჯობებს, რომ უ. მაჩაბელმა ხანდისხან სიტყვა უფრო ცხადათ, უფრო გარკვევით გამოჰათქვას; აჩქარებით სიტყვების დაბოლოება მნიშვნელობას უკარგავს სიტყვებს.

უ. შიფიანის მშვენიერ თამაშს არ ეკადრება ცოტა მეტი ცხვირის ნესტოებში

თითების აკრა ბურნუთის მოწვევის დროს. მ. საფაროვისას ეტყობოდა მშვენიერ როლში არ იყო, ის ვუღვიწიეს არის დაუფასებელი; მაგრამ ნიჭი მაინც არსად არ დაიშალა, ყოველგან შესამჩნევათ აიშვერს თავს. მ. საფაროვის თამაშის მაყურებელს ეგონებოდა, რომ ეს მოთამაშე დიდი ხნის გავარჯიშებულია სცენაზე; თავისუფლათ ყოფნა სცენაზე და როლის კარგათ გაგება საქმით ყურადღებას იქცევდა საზოგადოებისას, მშვენიერათ გამოვიდა სცენა ქართან ქალაქნობისა და ბუტიარობისა.


უ. აბაშიძეს, კაი ხნის გაცნობილს მუთაისის საზოგადოებასთან თავის ნიჭიერი თამაშით, ვეტყვით ერთს მისთვის და ჩვენთვისაც სასიამოვნო ამბავს: ის ახლა უფრო დახელოვნებულათ და თავის საქმის ბეჯითათ ხელის მომჭიდებლათ გვეჩვენა. მას სწორეთ კარგათ გეგო ზამზიმოვის როლი; თითოეულ სიტყვას ამბობდა თავის ალღეს, მისი ნამდვილი მნიშვნელობით, მდგომარეობის შესაფერ, კარგათ, ცხადათ. მანამეტება არაფერში შეჩინვია, ისე წარმოდგინა სურათი საწყალი კაცის სისხლის უწყალოთ მწუწვნელ ადამიანებისა. წამდა-უწუმ მაყურებლების სახარხაროთ გადაიქარბება როლში ეგება ბოლიშების დაჭერით მუცელზე და უადვილოთ ქართულის ენის განგებ დამახინჯება არ შეგვიმჩნევა უ. აბაშიძისათვის, როგორც სხვებისათვის, რომელთაც უთამაშნიათ ეს როლი აქ წინა წლებში.

ზაბუნისა კი ეტყობოდა ცოტა ვადა-ჭარბება და კარგს იზამს, რომ ძალას არ დაატანდეს თავს, რადგან უამისოთაც მის თამაშს ალტაცებაში მოჰყავს მთელი საზოგადოება.

უ. ცაგარელი ნამდვილი სურათი იყო კინტოსი და ძლიერ მოეწონი საზოგადოებას.

„სხვა რიგ სიყვარულში“ ითამაშეს მ. საფაროვისამ და უ. აბაშიძემ ძლიერ კარგათ. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ პიესაში ალაგ-ალაგ იკარგებოდა უ. აბაშიძის სიტყვები, ნამეტნავათ აჩქარებით სიტყვების სროლის გამო. ბოლოს შთაბეჭდილება ვოღვეილისა გააფუჭა უღროვოთ ფარდის ჩამოშვებამ. იმნაირათ მოჰსწყდა კული ვოღვეილს, რომ, თუმცა ათიოდე სიტყვა-ლა დარჩა სათქმელი, კაცს მაინც ეგონებოდა, წარმოდგენა პიესის შუა ალაგას შეჰსწყვიტოსო. საზოგადოება კაი ხანს იდგა ფარდის წინ და ჰკითხულობდა: გათავდა თუ არაო?

წარმოდგენა იყო ცირკის სადგომში. ცირკს უჭირავს დიდი ადგილი, უჭერო, თითქმის უკედლოც, თუ აგერ-ეგერ ბოძებზე მიკრულ თხელ ფიცრებს არ ჩავსთვლით კედლებათ. მართი ფაიტონის ვავლა მანლობელ ქუჩაში, ან ქარი, და სცეილამ სრულიათ ადარა ისმის-რა. ხმაურობაც რომ არა იყოს, მაინც ჰაჭირდებათ მოთამაშეებს ძლიერ ხმა-მალა ლაპარაკი, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილს კარგათ მიაწვდინონ სიტყვები, და როცა ხმაურობა რამ არის გარედან, მაშინ კიდევ უმეტესათ უნდა დაატანონ



ძალა თავის ხმას. ძნელია ამ პირობებში ბუნებითი, თავისუფალი ხმით ლაპარაკი. „ხმა-მალლა! ხმა-მალლა!“ მოაძახებენ მაყურებლები და მაშინ მოთამაშე იძულებულია ერთბაშით აუწიოს ხმა. ამასთან თუ მივიღებთ ყურადღებაში ზოგიერთ როლების სიგრიდეს, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ უნაკლოდღევანოთ წარმოდგენა გასაჭირია ამისთანა სადგომში და ამისთანა სცენაზე.

მუთაის ჯერ არ უნახავს ქართული ტრუპა და ასე დაწყობილი წარმოდგენა ქართული. მოთამაშეებს ეტყობათ, რომ (ჰტბლობენ, გულით ჰკიდებენ ხელს თავის საქმეს; ეტყობათ, რომ რეჟისორს უფანებენ.

ბევრისათვის სასიხარულო უნდა იყოს ქართული ტრუპის შედგენა, ბევრი სულითა და გულით თანაგრძობელი ყავს მას ჯერ-ჯერობით, მაგრამ ახლანდელი ტრუპა თუ ენერგიით გაჰყვება საქმეს, ბეჯითობას არ მოაკლებს, კიდევ დიდსა და დიდს თანაგრძობას დაიმსახურებს.

დიდი განსხვავებაა ახლანდელს ტრუპასა და იმ ტრუპას შუა, რომელიც შემდეგ იქნება რამდენსამე ათ წელიწადს იქეთ. ახლა ამ ტრუპის წევრები ანთებენ ქართული სცენის სიყვარულს ცეცხლს ქართველ საზოგადოების გულში მიუხედავლათ ბევრი არ დაბრკალებითა; შრომა ჰაჭირიათ, ბევრჯელ შეიძლება ვაკიცხვა გაიგონონ ცრუმორწმუნე და მედიდურ ადამიანებისაგან (ხომ გაგიგონიათ, რომ ზოგიერთები სასირცხვოთ ჰსთვლიან სცენაზე გამოსვლას)? მომავალი დროის მოთამაშეების საქმეს ხედავ: იმათ შეიძლება პირველთაგან დანთებული ცეცხლით ხელი მოითბონ ადვილათ, პირველებსავე არ გაუჭირდებათ, რადგან მათ ეყოლებათ საზოგადოება უფრო მომზადებული და მოყვარე სცენისა.

ღმერთმა კეთილი ჰქნას, ძვირფასო სტუმრებო, ამ ჩვენ ქალაქში თქვენი მობძანება! მისურვებ, აგვარულებინათ ის დიდი სამსახური, რომელიც შეუძლია ახლა გაუწიოს სცენამ ქართულს, ენას და ქართველ საზოგადოებას!

მკითხველი, საქმის მუყაითობა არის; მაგრამ მუშა კაცის მინუტების ანგარიშობა და ლუკმა-პურის მისხლობით აწონა არა მგონია, კაცური ანგარიში იყოს.

მს კიდევ არაფერი; ანგარიში, ეკონომიის დაჭერა და მუყაითიანი მუშაობა პირველი საქმეა ვაჭრობაში; მაგრამ ის დალოცვილი, თუ თავისას ნაღდად წამს-წამზედ და მინუტს-მინუტზედ ანგარიშობს, რა უშავს საათობით მუშახალხის მაინც იანგარიშოს!

მაგრამ ვინ ჰყავს მკითხველი—რისთვის რიგინ ანგარიშს არ გვაძლევო? შევლას ეშინია მის მომუშავეს. სულ ბურილიდამ ჩამოყვანილები ჰყავს და როგორც უნდა, ისე ატრიალებს საწყობებს, და თუ რომელსამეს დმერთი გაუწყრა და რამე უთხრა, ან ჯამაგირის და ან პურის ჰამის თაობაზედ, მაშინვე იმას სხვა გზა უნდა ჰქონდეს გაკვლეული, თორემ მას მშვიდობიანად ვერ გადაურჩება: ან გინებით მოჰკლავს და ან ცემით...

მიცი, იტყვი მკითხველი: რალად მოდის იმასთან მუშა-ხალხი?

აი ამხელ მოგახსენებთ:

როცა მოუნდება მუშა-ხალხი სტამბაში, მეტადრე შემოდგომისათვის, ვასწევს ბურიისკენ და ეუბნება ხალხს: „ჩემი წაყვანილები სულ ყველანი კარგათ არიანო, დიდი განათლება შეიძინესო და სხვ. და თუ ვინმეს ჰსურს, ჩემი სულოც სამადლოთ, კიდევ შემიძლია წაყვანავო. ჩემი კეთილი კაცობის დასამტკიცებელად ცოტადღენ ჯამაგირსაც ამ თავით დაუნიშნავო...“

ამის გამგონ გლვებებს სინარულით გული ევსებათ და არ იციან, რომელმა გაატანოს თავის შვილი განათლების შესაძენად. ამ აზრით ერთი ან ორი ჩაბარებს თავის შვილს რამოდენიმე წლის ვადით. იქ უფ. ხელაძე ჰპირდება იმათ: ჯამაგირს წელიწადში ოთხს ანუ ხუთ თუმანს, რუსული ტანსაცმელით გამოწყობას და პოლუსპოშკებით სიარულს.

ამ სიტყვებით მოატყუილებს და წამოიყვანს ქალაქში და როცა ჩამოიყვანს, მერმე თითონ იცის, როგორ მოექცევა: მიაყენებს საბეჭდად მაშინაზე და მურს ასმევიენებს მთელი წლის განმავლობაში მაინც. მეორე წელიწადს აბეჭდენებს და შესაძლებელია მესამე წელიწადს მიუშვას ყმაწვილი საწყობათ. ამ წლებში ყმაწვილებს ეუბნება: „სტამბაში მომუშავე კაცმა სულ ყველაფერი უნდა იცოდეს, ესე იგი მურის წასმა, ბეჭდვა და აწყობაც, და თუ ამ სამში ერთი დააკლდა, მაშინ არაფელად ივარგებსო. და თუ თქვენ ამ სამივე ხელობას ისწავლით, ვადის გასულის მონაწილედ შემოგიყვანთ სტამბაშიო.“

ამ სიტყვების გამგონე ყმაწვილი სულით და გულით ჰკიდებს ხელს საქმის გაკეთებას. მის ახსოვს ან ღამე, ან დღე, ან უქმი და ან ავთიმყოფობა,—სულ ერთთავად მუშაობენ.

ამ ნაირად მიმსახურებს რამდენიმე წლის განმავლობაში მუქთად და თუ შემდეგში ჯამაგირი მოსთხოვა, უბრალო მიზნით ისტუმრებს ქუჩისკენ.

სწორეთ ნახევარი თვე მას აქეთ, რაც გაისტუმრა ქუჩისკენ უპატრონოთ სამი ამნაირი თავის შაფირდი: ერთი მართლა პირობით შეკრული და ორი სიტყვიერი პირობით დამდგარი. ამის მიხედვით მოინდომა მეოთხემაც, სანამ ხაზიანი გაისტუმრებდა, თავის ნებით ვასვლა და მოსთხოვა თავის ბილეთი, რომელიც მამიდგან ჰქონდა გამოგზავნილი. მაგრამ ამ სათხოვარზე ხელაძემ უარი უყრ და ნაცვლად ბილეთის მიცემისა ერთი ლაზათიანი სილა უთავაზა ლოყაში და გამოავლო ვარეთ. საწყალი უბილეთო, უპატრონო წავიდა და დადგა სხვა სტამბაში სამუშაოთ. მაგრამ ვაიგო თუ არა ხელაძემ, რომ ის სხვა სტამბაში მუშაობსო, იმ წამსვე წერილი მისწერა სტამბის პატრონს და სთხოვა იმის დათხოვნა, თორემ ბილეთი არა აქვსო და ეტაპით ვაგზავნი სახლშიო. რასაკვირველია, მეორე მესტამბემ ბილეთი მოსთხოვა და კიდევაც გამოუცხადა, რომ უბილეთოთ ვერ გამუშავებო. ამის გამგონს გული ჯაგით გაუქდა და იმავე დღეს ავით განდა ისე, რომ ფეხზედ დგამაც ვეღარ შეიძლო და წამოვიდა თავის ნაქირავებოთახში დასაწოლოთ. მის-და-ბედათ შეხვდა იქ თავის ნაცნობი ერთხელ მისსაებრ გაჭიერებას გამოცდილი იმავე კაცისაგან და წაიყვანა თავის სახლში.

მეორე დღეს როგორც იყო და არ იყო, ხელაძეს გამოართვეს ყმაწვილის ბილეთი და წაიყვანეს ოფილისის საავთმყოფოში, და როდესაც ეს გარემოება ვაიგო უფ. ხელაძემ, ვაგზავნა თავის სტამბის მმართველი, და მესამე დღეს გიმოიყვანეს ცოცხალ-მკედარი ყმაწვილი.

აი ამნაირ მწუნარებაშია ყველა ბურილიდამ ჩამოსული მასთან მუშა-ხალხი და არც იციან—როგორ უშველონ თავს და თუ ვინმე იმისაგან ვაიდა, ვინ იცის იმაზედ რაებს ამბობს: ქურდიაო, უპინი-დისოაო, ზანტიაო და სხვ., და ამით გზას უხლართავს...

მ. ხელაძის ნაშაგირდალი იოს. ხელაძე.

უხსო ქვეყნები

საზრანბათი

ბონაპარტიულს ვაზნის „მოლოუში“ დაბეჭდილია სამხრეთ აფრიკაში ზულუსებისაგან მოკლულის პრინც ნაპოლეონის ანდერძი, რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს აძღენს ლაპარაკობდნენ და სწერდნენ ფრანცუზულს ვაზნეთში; აი ეს ანდერძი:

- „მს ჩემი ანდერძია.
- 1) მე ვკვდები რამის კათოლიკედ, იმ სარწმუნოებაში, რა სარწმუნოებაშია ც დავიბადე.
 - 2) მურს, რომ ჩემი გვამი მამა-ჩემის გვამთან იყოს დასაფლავებული, სანამ ჩვენ ორთავეს გვამებს არ გარდაი-

მუთაისელი
წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორო! ბთხოვთ ადვილი მისცეთ ამ ჩემს მკირე წერალს თქვენს პაიეტ-ცემულ ვაზეთში და ვააცნოთ მკითხველებს, თუ რა სასარგებლო კაცია თავის სამშობლო ბურიისათვის უფ. მესტამბე მქეთიმე ხელაძე.

მართალია, ახლანდელ დროში ყველა კაცი თავის ჯიბისთვის უფრო ცდილობს, მაგრამ უფ. მქეთიმე ხელაძე სულ წრეზე ვადადის და დღე-დღეზედ ემზავსება პარაპეტას. საანგარიშო ჩოთქი თითქმის ვაცვეთილი აქვს ნამეტანის ანგარიშით და სხვა-და-სხვა ეკონომიის დაჭერაზედ. მს, რასაკვირველია, იტყვის

ტანებზე საფრანგეთში იმ ხალხს შორის, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარდა.

3) ჩემი უკანასკნელი ფიქრი ჩემს სამშობლოს ეკუთვნის; სასურველი იქნებოდა ჩემთვის, რომ იმისთვის შეემეწირა ჩემი სიცოცხლე.

4) იმედი მაქვს, რომ დედა-ჩემი სიყვარულით მომიგონებს მე ისე, როგორც მე იმას მუდამ მოვიგონებ.

5) ჩემმა მეგობრებმა, მსახურებმა და ჩვენი საზოგადო საქმის მომხრეებმა უნდა დედა-ჩემი, რომ ჩემი მადლობა იმათსადმი ჩემ სიცოცხლესთან ერთად გათავადება.

6) მე მოგვედები ღრმა მადლობის გრძობით ინგლისის კოროლევსა და საზოგადოთ მთელი ინგლისის საკოროლო ოჯახისადმი, იმ მასპინძლობისათვის, რომელიც ინგლისში მყოფობის დროს გამიწიეს.

7) ჩემი ქონების მემკვიდრედ ვნიშნავ ჩემს საყვარელს დედას... (უკ მოხსენებულა—თუ რამდენი საჩუქარი უნდა მიეცეს მიცვალებულის მეგობრებს).

მალღს ანდერძში დაწერილია შემდეგი სიტყვები:

„საჭიროდ არა ვრაც მოვაგონო დედა-ჩემს, რომ იმან ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ პაპა და მამა ჩემის სახსოვარი საფრანგეთში კეთილად და პატივისცემით მოიხსენიონ.“

„მსთხოვ იმას, ასოვდეს, რომ სანამ ერთი შთაშობაღალი დარჩება ბონაპარტებისა, მანამ იმპერიის საქმე არ არის გამქრალი. ჩემი სიკვდილით ზვენის გვარის მოვალეობა საფრანგეთისადმი არ მოიხსნება. როცა მე მოვეკვები, ნაპოლეონ პირველისა და მესამის საქმე უნდა განაგრძოს პრინც შერომ ნაპოლეონის შვილმა პრინც მიქტორმა, რომელსაც დედა ჩემი მოეხმარება ყოველი ღონისძიებით და ამით მოგვეცეს ჩვენ უკანასკნელ ნუგეშს.“

ნაპოლეონი

ჩიზღვერსტი, 26 თებერვალს 1879.

რუერსა და ძრანჩესკინი პიტრის ვნიშნავ ამ ანდერძს აღმასრულებლებელად.

ბანსხალბანი

გამგებელი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავადაზნაუტო საზოგადოებისა შესაწავნალად შეუკვალეთა მოსწავლეთათვის ამით აცხადებს, რომ არძების შემოტანა ბავშვების მიღებაზედ უკოლაში ამ წლის სექტემბერის 1-სა და ოქტომბრის 1-ს შორის.

ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ 26 ივნისს 1879 წლისა გამოვიდნენ მესუთე ტირაქში ამა ბანკის შემდეგნი ვიროს-ფურცელნი:

III სესხისა	100	მანეთიანი	№ 52, 62 და 72.
IV „	„	„	„ 23, 43 და 53.
V „	„	„	„ 23, 73, 93 და 123.
VI „	„	„	„ 51 და 81.

II სესხისა	1000	მანეთიანი	№ 73.
„	100	„	№ 173 და 178.
III „	1000	„	№ 24.
„	100	„	№ 17, 47 და 57.
IV „	1000	„	№ 10.
„	100	„	№ 6.
V „	100	„	№ 3, 23 და 25.
VI „	100	„	4, 14, 24 და 44.

ტირაქში გამოსულთა ვიროს ფურცელთა და ვადიან კუპონთა ზღვევა მოხდება ხალხე: ქ. ქუთაისს—სააღგილ-მამულო ბანკში, პეტერბურსს—უ.უ. ტომსონ-ბონარ და კოსთან და თფილისში—თფილისის საურთიერთო ნღობის საზოგადოებაში.

(1—1)

რპ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	კაპ. 8	კაპ. 3	მ.ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 22 ივნისს.		მრვენ. მკილან, წინამძღვაროვსახლ.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძავკაისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თფ. ბანჯისა ფუთ.	2 20	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ბორი	11 58	9 43	3	153	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურსს, შარშავს	2	შქვ. წითელი	1 70	მ. რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი და ბარალევიჩი—შინაგ.ავთმყოფობის.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბამბა მრვენისა, ფუთი.	8 20	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი და ბაბოვი—გულინისა და შინაგ. ავთმყოფ.
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	შაენტალი ბამბა ფუთი.	10 70	მყოფ.; რეინი—თვალის, შურავლევი—კანისა და ვენეროილის.
შვირილა	5 49		7 21	3 69	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფუთი.	8 20	ლევვი—კანისა და ვენეროილის.
რიონი	6 57		8 44	4 31	ფოქტა		—თარაქამისა ფუთი	4 30	ბახტოვი—ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირს გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მ.ზურ. გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმა ნუხური სტ.	2 10	მ. ხ შ ა ბ ა თ ი: ლისიცივი—შინაგ., ბაბავეი—ნერგების.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47			ქონის სანთელი ფუთი.	5 80	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი—შინაგ. ავთმყოფ. და შურავლევი—კანის და ვენეროილის.
ფოთი	9 50		12 24	6 26			სტარინის სანთელი ფ.	12 40	ნაგ. ავთმყოფ. და შურავლევი—კანის და ვენეროილის.
							—ცხვრისა, ლიტრა	— 90	პ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ე მ ბ ი ა ნ: ლისიცივი, ბაბოვი, ბაბავეი და ბახტოვი.
ფოთი	9 3						შაქარი ბროც. ფუთ.	7 10	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი, რეინი და შურავლევი.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8			—ფხვნილა ფუთი	5 70	შურავლევი.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			შავა რგვალი გრვ.	— 65	მ. რ ბ გ ტ ი — კბილის ექიმი და ბაბავეი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.
რიონი	12 13		3 84	1 97			შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11 80	
შვირილა	1 18	ლაგე.	5 3	2 56			მამბაქო საშუალო ფთ.	6 50	
სურამი	5 12		1 10	7 34					
ხაშური	5 39		1 37	7 51					
ბორი	7 5		4 8	9 24					
მცხეთა	8 50		6 59	11 39					
თფილისი	9 31		7 56	12 24					